პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.კ.პ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 178 (5279) | პარასკევი, 5 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ჩაის რაიონების საბრძოლო ამოცანა (მე-1 და მე-2 გვ.)

ხასანის ტბის რაიონში მომხდარი შეტაკების გამო (1-ლი გვერდი)

დაიწყო ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ გამოცდა (1-ლი გვერდი)

საქართველოს სსრ საბამოფენო კომიტეტში (მე-2 გვ.)

პოლკოვნიკი ა. სეგედი—ზურგის დაცვა საჰაერო თავდასხმათაგან (მე-2 გვ.)

პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)

ექ. გ. თვალაძე — ყინულმჭრელი „ი. სტალინი“ (მე-3 გვერდი)

უცხოეთში:

უცხოეთის პრესა საბჭოთა საზღვარზე იაპონელთა პროვოკაციების შესახებ (1-ლი გვ.)

ჰენლაინელები ცდილობენ ჩაშალონ მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან (1-ლი გვ.)

ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.)

საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის რაიონების საბრძოლო ამოცანა

ორდენოსანი საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს ჩაის მეურნეობის განვითარების დარგში. საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობა, უმჯობესდება ჩაის მზა პროდუქციის ხარისხი. გრძელდება ჩაის ფოთლის მოსაველიანობის ზრდა. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან დიდი **სტალინის** მითითების განხორციელებისათვის ბრძოლაში — საბჭოთა კავშირის ჩაის იმპორტისაგან განთავისუფლების შესახებ. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. უმნიშვნელოვანესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში მივაღწიოთ ჩაის იმპორტის შეწყვეტას და სავსებით უზრუნველყოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება საქართველოს მაღალხარისხოვანი ჩაით.

ჩაის რაიონების პარტიული ორგანიზაციები დიდი, პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან. წელს უნდა მოიკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბარდეს 35.000 ტონა ჩაის ფოთოლი. მაგრამ ამ მხრივ აშკარა ჩამორჩენასთან გვაქვს საქმე. „საჩაის“ 1 აგვისტოს ცნობებით, ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით შესრულებულია 80,7 პროცენტით. ჩაის 17 რაიონიდან ივლისის გეგმა მხოლოდ ოჩამჩირის რაიონმა შეასრულა. ჩაის ფოთლის კრეფაში ყველაზე მეტად ჩამორჩენენ: ლანჩხუთის, ზუგდიდის, ქობულეთის, ქუთაისის, სამტრედიის, ტყიბულის და ცხაკაიას რაიონები.

არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ეს ჩამორჩენა ობიექტური მიზეზებით აიხსნებოდეს. ჩამორჩენის მიზეზი ისევ და ისევ ადამიანები არიან. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველჰყვეს თვითეული კოლმეურნეობისა და ბრიგადისათვის ცოცხალი კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა. ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ ატარებენ ჩაის ფოთლის განუწყვეტელ კრეფას, მოუწესრიგებელია შრომა. შრომის სწორი ორგანიზაცია კი ჩაის კრეფის გეგმების შესრულების ერთერთი ძირითადი პირობაა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მრავალჯერ მიუთითა ადგილობრივ ორგანიზაციებს — დაუყოვნებლივ აღმოეფხვრათ ეს ნაკლოვანებანი. მაგრამ ბევრგან ეს ჯერაც არ არის შესრულებული.

ლანჩხუთის რაიონის სოფ. აცანის, ზემო-აკეთისა და ლესის კოლმეურნეობებში ყოველდღიურად არ ხდება ბუჩქების შემოვლა-კრეფა, რაც იწვევს ფოთლის გაუხეშებას, დანაკარგებს. შეუწყნარებელი უდარდელობის შედეგია, რომ სოფ. ლესის კოლმეურნეობაში წაწყდებით ისეთ ბუჩქებს, რომლებიც წელს არ მოკრეფილა. ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები სიტყვიერად ბევრს გაიძახიან ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ კრეფაზე, ფაქტიურად კი მათს სიტყვასა და საქმეს შუა დიდი ზღვარია. შემჩნეულია, რომ მოკრეფილ ჩაის ფოთოლს უშუალოდ პლანტაციაში ბრიგადირი არ იბარებს. ამის გამო მკრეფავებს უხდებათ შორი მანძილის გავლა. ეს კი ამცირებს შრომის ნაყოფიერებას. ასეთ ფაქტს ადგილი აქვს ამავე რაიონის ისეთ კოლმეურნეობებში, როგორიცაა სოფ. აცანის სტალინის სახელობის და მამათის ბერიას სახელობის სასწ.-სამ. არტელები. ეს მაშინ, როცა ამ კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების შესრულება გადამწყვეტ როლს თამაშობს რაიონული გეგმის განაღდებაზე. გადაუდებელი ამოცანაა ისე მოეწყოს საქმე, რომ ბრიგადირი უშუალოდ პლანტაციაში იბარებდეს მოკრეფილ ფოთოლს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობის მთელი მუშა-ხელის გამოყენებას ჩაის კრეფაში. მაგრამ ზოგან ამას უგულებელჰყოფენ. ტყიბულის რაიონის სოფ. ჭყეპის კოლმეურნეობა „წინსვლასა“ და სოფ. ლაფეთის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში“ მთელი შრომისუნარიანი მუშა-ხელი ორგანიზებულად არ გამოჰყავთ ჩაის კრეფაზე. ამის გამო იქ არ ტარდება განუწყვეტელი კრეფა და ვხვდებით ფოთლის გაუხეშებას.

ჩაის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოო-ქმედო ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ სწორად მოაწყონ შრომა ჩაის ფოთლის კრეფაში. საჭიროა ყოველდღე კოლმეურნეობის ყველა ნაკვეთის შემოვლა და იმის მტკიცედ დადგენა, თუ პირველ რიგში, რომელ ნაკვეთზე გაიგზავნონ მკრეფავები. მტკიცედ უნდა დაიხეროს ჩაის ფოთლის ყოველდღიური, განუწყვეტელი კრეფა. მთელი მუშაობა იმნაირად უნდა წარიმართოს, რომ არცერთი ფოთოლი არ გაუხეშდეს.

ამოცანა აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ უკეთ მოვაწყოთ ჩაის გადამუშავება და კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მზა პროდუქციის ხარისხი. „ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს იმისათვის, რომ წელს 35.000 ტონა ჩაის ფოთოლი მოვკრიფოთ. ჩაის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დგას ამოცანა — მიაღწიონ ჩვენი ჩაის არომატიზაციის სამუშაოთა განხორციელებას, რათა იგი მსოფლიოში საუკეთესო მაღალხარისხოვან ჩაიდ გადაიქცეს“ — საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელის **ამხანაგ ლავრენტი ბერიას** ამ საბრძოლო დავალების შესრულებისათვის ჩაის ზოგიერთი ფაბრიკა ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის. ნარაზენის (ზუგდიდის რაიონი) ჩაის ფაბრიკაში დამყარებული არ არის ბოლშევიკური წესრიგი. ტრანსპორტი ცუდად მუშაობს, რის გამო მიმღები პუნქტებიდან დროულად არ გადმოაქვთ ჩაის ფოთოლი, ეს კი იწვევს ხარისხის გაუარესებას. ფაბრიკაში ადგილი აქვს მუშა-ხელის დენადობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ჩაის გადამუშავების ხარისხზე.

გალის რაიონის ნაბაკევის ჩაის ფაბრიკაში მიღწეული არ არის მანქანების ზუსტი მუშაობა, არ იცავენ ტექნოლოგიურ პროცესებს — ამიტომ აქ 8.000 კილოგრამამდე ჩაი, ნაცვლად მეორე ხარისხისა, მესამეში გაუშვეს.

ჩაის სიგნალები, რომ **გალის,** მოქვისა და შრომის ჩაის ფაბრიკებში არ იცავენ სისუფთავეს, მანქანებს სისტემატურად არ სწმენდენ, ჩაის გადამუშავების ყველა წესი არ არის დაცული. ამის შედეგია, რომ ამ ფაბრიკებს პირველ აგვისტოსათვის არცერთი კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაი არ გამოუშვიათ. ეს ყოვლად შეუწყნარებელია. ჩაის ფაბრიკებში სანიმუშო სისუფთავე უნდა იყოს დაცული.

ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელთა ძოვალეობაა გადაჭრით გაუმჯობესონ ჩაის ხარისხი და მთლიანად შეასრულონ ჩაის გამოშვების გეგმები ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით. ამის სასახელოდ შესრულება მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ჩაის ფაბრიკების მექანიზმებსა და დანადგარებს საუკეთესოდ მოვუვლით, თუ გადამუშავების პროცესებზე დავაწესებთ ნამდვილ მეთვალყურეობასა და კონტროლს.

მაგრამ ჩაის მაღალი ხარისხის ბედი მარტო ფაბრიკაში არ სწყდება. ფაბრიკის ხელმძღვანელნი ვალდებული არიან უზრუნველჰყონ ჩაის პუნქტებიდან მოკრეფილი ფოთლის დროულად, დაუზიანებლად მიზიდვა ფაბრიკაში. ტრანსპორტი, რომელსაც ჩაის ფოთოლი გადაქვს, სანიმუშოდ უნდა მუშაობდეს.

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობამ დაავალა „ყველა პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველჰყონ ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთლის დროზე და უდანაკარგოდ მოკრეფა, აგრეთვე ფაბრიკებში მისი დროზე გადამუშავება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩაის პროდუქციის ხარისხისა და თვისების გაუმჯობესებას.“ ყრილობის ეს საბრძოლო დავალება განუხრელად უნდა შევასრულოთ.

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ჩაის ფაბრიკებში აღიზარდნენ სახელოვანი ადამიანები, რომელნიც სამუშაო ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, ჩვენმა გაზეთებმა უნდა მოაწყონ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება, რათა ვამრავლოთ სტახანოველთა რიგები, კიდევ უფრო მალე ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დონეში ჩაის ფოთლის კრეფის და მზა პროდუქციის გეგმების სანიმუშოდ შესრულებისათვის.



ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი“.

ფოტო გ. თვალაძისა

დაიწყო ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ გამოცდა

ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ ბორტი, 3 აგვისტო **(რადიო. „კომუნისტის“ საკ. კორ.)** მეოთხე დღეა, რაც გრძელდება არქტიკული ფლოტის ფლაგმანის ყინულმჭრელი გემის „ი. სტალინის“ გამოცდა. ყველაფერი ნორმალურად მიდის, მანქანები საუცხოოდ მუშაობენ, გემის პარადი შემადგენლობის განწყობილება მხნეა. ფართოდ არის გაშლილი სოციშეჯიბრება ცეცხლფარეშთა და მემანქანეთა ცალკეულ ბრიგადებს შორის, რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი. დღეს გემზე ჩატარდა უპარტიოთა პოლიტწრის მეცადინეობა — რსფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მასალების დამუშავება.

გუშინ ყინულმჭრელიდან წავიდა საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. პაპანინი, რომელიც ზღვაში გასვლის პირველი დღიდან მის ბორტზე იმყოფებოდა.

ამხ. პაპანინმა ჩაატარა საუბარი გემის მოსამსახურე პერსონალთან. მან განგვიმარტა ომის საშინაალმდეგო დღის მნიშვნელობა, გვიამბო ეპიზოდები სამოქალაქო ომის ცხოვრებიდან, ჩრდილოეთის პოლუსიდან სახელოვანი ოთხეულის დრეიფის მსვლელობა და სხვ.

მთელი კოლექტივი უდიდესი ყურადღებით უსმენდა მას. საუბრის დამთავრებისას ყველამ სიტყვა მისცა ამხ. პაპანინს, რომ უახლოეს დღეებში ჩააბარებენ ყინულმჭრელს არქტიკაში სამუშაოდ.

ყინულმჭრელის გამოცდაზე თვალყურის სადევნებლად ამხ. პაპანინი შესცვალა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ო. ი. შმიდტმა, რომელიც ბორტზე მთელი საგამოცდო მუშაობის დამთავრებამდე დარჩება.

ყინულმჭრელი **„ი. სტალინი“** გაშლილი წითელი ალმის ფრიალით მიდის აჩქარებული სვლით.

ექ. გ. თვალაძე

ხასანის ტბის რაიონში მომხდარი შეტაკების გამო

გუშინ, 4 აგვისტოს, იაპონიის ელჩმა მოსკოვში ბ. სიგემიცუმ ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი და, შეეხო რა ხასანის ტბის რაიონში მომხდარ შეტაკებებს, განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობას განზრახული ჰქონდა მშვიდობიანი გზით გადაეჭრა „ინციდენტი“, როგორც ლოკალური. ამიტომ თავისი მთავრობის დავალებით, ელჩი წინადადებას იძლეოდა ორივე მხარემ შესწყვიტოს საომარი მოქმედება და საკითხი გადატანილ იქნას დიპლომატიური მოლაპარაკების ნიადაგზე.

ამხ. ლიტვინოვმა უპასუხა, რომ, თუ იაპონიის მთავრობას ნამდვილად მშვიდობიანი განზრახვა ჰქონდა, ამ განზრახვებს არამც და არამც არ შეესაბამება იაპონიის სამხედრო ხელისუფალთა მოქმედება. საბჭოთა საზღვრის შეიარაღებულ გადმოლახვას და ღამის იერიშს საბჭოთა მოსაზღვრე სადარაჯოზე არტილერიის გამოყენებით მხოლოდ ირონიით შეიძლება ვუწოდოთ მშვიდობიანი მოქმედება. „ინციდენტი“ მხოლოდ ამ მოქმედებათა შედეგად წამოიჭრა და ეს რომ არ ყოფილიყო, არც ინციდენტი იქნებოდა. თუ იაპონელები შესწყვეტენ საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმას და ამ ტერიტორიისათვის სროლას და გაიწვევენ თავიანთ ჯარის იმ ნაშთებს, რომელნიც შეიძლება კიდევ დარჩნენ საბჭოთა ტერიტორიაზე, მაშინ საბჭოთა ჯარსაც აღარ ექნება საფუძველი განაგრძოს საპასუხო საომარი მოქმედება და საბჭოთა მთავრობა მზად იქნება იმ წინადადებათა დიპლომატიური გზით განხილვისათვის, რომლითაც იაპონიის მთავრობა მოისურვებს მოჰმართოს მას. მაგრამ წინასწარ უზრუნველყოფილი უნდა იქნას საბჭოთა იმ საზღვრის ხელშეუხებლობა, რომელიც დაწესებულია ხუნჩუნის შეთანხმებითა და მასთან დართული რუკით.

ელჩმა სთქვა, რომ მას არა აქვს განზრახვა განაახლოს დავა საზღვრისა და ამათუიმ მხარის პასუხისმგებლობის შესახებ, ვინაიდან საერთო აზრი ამის შესახებ ორივე მხარეს არა აქვს. ის აღიარებს, საერთაშორისო ხელშეკრულებათა ძალას, მაგრამ მანჯოუგოს, ჩინეთისაგან გამოყოფის შემდეგ, თავისი საბუთები აქვს. ხუნჩუნის შეთანხმებასთან დართული რუკა იაპონიამ ახლა პირველად იხილა. ამიტომ გონივრული არ იქნებოდა ინციდენტის გადაჭრა ასეთი რუკის საფუძველზე. ამის მიუხედავად, იაპონიის მთავრობა მზად არის შეუდგეს ადგილობრივ კონკრეტულ მოლაპარაკებას ხელშეკრულების ან რუკის შესახებ. იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის საზღვრის დაზუსტებაზე წინათ უკვე სწარმოებდა მოლაპარაკება და მიღწეული იყო შეთანხმება შერეული კომისიების შექმნის შესახებ. თუ მარტო რუკებს დავემყარებოდით, მაშინ საქირო აღარ იქნებოდა ლაპარაკი შერეული კომისიების შესახებ. ჯერჯერობით კი უნდა ვილაპარაკოთ პრაქტიკულად საომარ მოქმედებათა შეწყვეტაზე და იმ მდგომარეობის აღდგენაზე, რომელიც 11 ივლისამდე არსებობდა.

ამაზე სახალხო კომისარმა შემდეგი განაცხადა. საზღვრები სახელმწიფოებს შორის მხოლოდდამხოლოდ საერთაშორისო შეთანხმებებითა და რუკებით წესდება და არა მთავრობათა და სამხედრო სფეროთა სუბიექტური აზრებით და სურვილებით ან არაოფიციალური საბუთებით. საბჭოთა მხარის მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ დოკუმენტებს იაპონელთა მხარემ სხვა არაფერი დაუპირისპირა, გარდა განცხადებისა, რომ მისთვის სასურველია სხვა საზღვარი. სსრ კავშირსა, მანჯოუგოსა და კორეას შორის საზღვარი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომელიც დაწესებული იყო ჩინეთის მთავრობასთან დადებული შეთანხმებებით და ხელშეკრულებებით და მათთან დართული რუკებით. მანჯურიის ოკუპაცია იაპონიის მიერ უფლებას არ აძლევს უკანასკნელს მოითხოვოს საზღვრის შეცვლა. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობა არ დათანხმებულა და არ დასთანხმდება საზღვრის გადასინჯვაზე. ჩვენი ბრალი როდია, რომ ტოკიოში არ არის ხელშეკრულებები და რუკები, რომლებიც ჩინეთის მთავრობას ჰქონდა და რომლებიც მანჯოუ-გოს უნდა ჰქონდეს. ხოლო თუ ისინი მართლაც არ მოიპოვება, რა თქმა უნდა, ელჩს შეეძლო ეთხოვნა ჩვენთვის, რათა მიგვეცა მისთვის ამ ხელშეკრულებისა და რუკების ასლი განსახილველად, მაგრამ იაპონელთა ჯარმა ამას პირდაპირ მოქმედებათა გზა ამჯობინა და რუკაზე აღნიშნული საზღვარი გადმოლახა. საბჭოთა მთავრობას უკან არ მიაქვს თავისი თანხმობა შერეული კომისიების შექმნის შესახებ განსაზღვრული, მის მიერ აღნიშნული პირობებით, მაგრამ მაშინ ლაპარაკი იყო არა ახალი საზღვრის დაწესებაზე, არამედ საზღვრის დემარკაციაზე (სასაზღვრო ნიშნების დაწესებაზე) ან რედემარკაციაზე არსებულ შეთანხმებათა და რუკების საფუძველზე. თუ იაპონიის მთავრობა გარკვევით განგვიცხადებს, რომ იგი ხუნჩუნის შეთანხმებას სცნობს, ჩვენ მზად ვიქნებით შერეულ კომისიათა მუშაობაში შევიტანოთ მასში აღნიშნული საზღვარიც, მაგრამ მხოლოდ რედემარკაციისათვის. ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმის შესახებ, რომ ხუნჩუნის შეთანხმება სხვა შეთანხმებით შეიცვალოს. რაც შეეხება საომარი მოქმედების შეწყვეტას, თუ აღდგენილ იქნება მდგომარეობა, რომელიც არსებობდა დაახლოებით 29 ივლისამდე, ესე იგი მანამდე, ვიდრე იაპონელთა ძალები ბეზიმიანაის სიმაღლისა და შემდეგ ზაოზერნაიას დაპყრობას შეეცდებოდნენ, თუ მანჯურიის მხრივ შესწყდება თავდასხმები საბჭოთა ტერიტორიაზე, რომელიც ხუნჩუნის ხელშეკრულებაში აღნიშნულ საზღვარს აქეთ მდებარეობს, თუ შესწყდება ამ ტერიტორიისათვის სროლის ატეხა და გაწვეული იქნებიან იაპონელთა ძალების ნაშთები, რომელნიც შეიძლება კიდევ აღმოჩნდნენ ამ ტერიტორიაზე, მაშინ საბჭოთა მხრივაც შესწყდება საომარი მოქმედება, ვინაიდან იგი უსაგნო გახდება, რადგანაც მანჯურიის მიწაწყალი ჩვენ არ გვესაჭიროება. იაპონელებს თვითონ შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ მას შემდეგ, რაც ღამით დაიკავეს მალლობი ზაოზერნაია, რომ იქ არ აღმოჩენილა ჩატარებული არავითარი სამზადისი შეტევითი მოქმედებისათვის და არც რაიმე სიმაგრეები აგებულა. ეს ყველაზე უკეთ მოწმობს საბჭოთა მხარის მშვიდობიან განზრახვებს. მაგრამ საბჭოთა ხალხები არ შეურიგდებიან უცხოეთის ჯარის ყოფნას თუნდაც ერთ ნაჭერ ტერიტორიაზე, რომელსაც ისინი უდავოდ თავისად სთვლიან, და არავითარი მსხვერპლის წინაშე არ შეჩერდებიან, რათა განთავისუფლდნენ მათგან. ამიტომ სანამდე გაგრძელდება საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმა, მისთვის სროლის ატეხა, ან კიდევ თუნდაც ერთი იაპონელი ჯარისკაცი დარჩება მასზე, საბჭოთა მთავრობამ უნდა შეინარჩუნოს მოქმედების თავისუფლება. ბ-ნი ელჩი, ალბათ, მიხვდა და სიზუსტით გადასცემს თავის მთავრობას, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ შესწყდეს საომარი მოქმედება. შემდეგში იაპონიის მთავრობას შეეძლება მიიღოს ხუნჩუნის შეთანხმებისა და რუკების ასლი და ფოტოსურათები, რათა სათანადო განკარგულება მისცეს ადგილობრივ ხელისუფალთ.

იაპონიის ელჩმა განაცხადა, რომ საუბრის შინაარსს მოახსენებს თავის მთავრობას. **(საკდესი).**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომეუნარი

№ 1000

ს.კ.პ. ბ. (ბ) სოლნაკის რაიკომისა და რაიაღმასკომის პოლიტდღიური ორგანო

გაზ. „კოლმეურნის“ რედაქციას

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია მხურვალედ მიესალმება საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომისა და რაიაღმასკომის მებრძოლი ორგანოს—გაზეთ „კოლმეურნის“ რედაქციის და სტამბის მუშაკებს, მუშსოფკორებსა და მკითხველებს „კოლმეურნის“ მეათასე ნომრის გამოსვლის გამო.

გაზეთმა „კოლმეურნემ“ პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე დიდი მუშაობა ჩაატარა კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის ზრდისათვის, მეცხოველეობის განვითარებისათვის, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისათვის, ხალხის უბოროტესი მტრების გამომჟღავნებისა და განადგურებისათვის. „კოლმეურნემ“ თავის გარშემო შემოიკრიბა და აღზარდა მუშა და გლეხ კორესპონდენტთა კადრები, რომლებითაც ის მტკიცედ დაკავშირებულია მასებთან. „კოლმეურნემ“ რაიონის მშრომელებში დაიმსახურა დიდი სიყვარული და ავტორიტეტი.

„კომუნისტის“ რედაქცია დარწმუნებულია, რომ გაზეთ „კოლმეურნის“ რედაქცის მუშაკები და მუშსოფკორები შემდეგშიაც მაღლა დაიჭერენ ლენინ-სტალინის დაღმ და უძლეველ დროშას, კიდევ უფრო გააძლიერებენ რევოლუციურ სიფხიზლეს, მეტი დაჟინებით იმუშავებენ პარტიული ცხოვრების გაშუქებისათვის, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობისათვის, კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის, მშრომელთა ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია

ჰენლაინელები ცდილობენ ჩაშალონ მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან

პრაღა, 3 აგვისტო (საკდესი). სუდეტელ გერმანელთა პარტიის დელეგაციის პასუხის გამოქვეყნება, იმ პარტიისა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს მთავრობასთან, უკანასკნელის მიერ დამუშავებულ „ეროვნებათა კოდექსისა“ და დამატებითი კანონპროექტების შესახებ, უეჭველია, იმას ვარაუდობს, რომ უფრო მეტად გამწვავდეს ქვეყნის შინაპოლიტიკური მდგომარეობა. ჩაიშალოს მოლაპარაკება და მომზადდეს პირობები ფაშისტური გერმანიის ჩარევისათვის. დამახასიათებელია, რომ პასუხი, რომელიც ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ იყო დამზადებული, გამოქვეყნებულია ბრაუშურის სახით მხოლოდ ჰენლაინისა და ჰიტლერის შეხვედრის შემდეგ, რაც 30 ივლისს მოხდა ბერესლავლში. ბრაშურა, რომელიც მეტად მკაცრი ტონით არის დაწერილი, უარჰყოფს მთავრობის მიერ დამუშავებულ ყველა კანონპროექტს და კვალიფიკაციას უკეთებს მათ, როგორც „უსამართლობისა და ნაციონალური ჩაგვრის რეჟიმის შენიღბულ განმტკიცებას“. უარჰყოფს რა კოდექს, მაგრამ არა შემდგომ მოლაპარაკებას მთავრობასთან, სუდეტელ გერმანელთა პარტია მოითხოვს მის მოთხოვნათა განხორციელებას, სახელდობრ: სრულ ნაციონალურ ავტონომიას, მისთვის იმ უფლების მიცემას, რომ გადასწყვიტოს ჩეხოსლოვაკიის გერმანული მოსახლეობის ბედისბაღი, სახელმწიფო მმართველობის აპარატის დეცენტრალიზაციას და სუდეტელ გერმანელთა პარტიის მონაწილეობას მთავრობაში.

დემოკრატიული პრესა—„ჩესკე სლოვო“, „სოციალ - დემოკრატ“, „პრავო ლიდუ“ და სხვ.—სუდეტელ გერმანელთა პარტიის ახალ გამოსვლას აფასებს, როგორც ნაბიჯს, რომლის მიზანია წინააღმდეგ მთავრობის კოალიციის პარტიების ყოველგვარ ცდას მიაღწიონ შეთანხმებას ჰენლაინელებთან და სხვა ოპოზიციურ ჯგუფებთან.

სუდეტელ გერმანელთა პარტიის მკაფიოდ გამოსახული ხაზი, რომელიც მიმართულია მოლაპარაკების ჩაშლისაკენ, დიდ უკმაყოფილებას იწვევს მთავრობის კოალიციის დემოკრატიულ პარტიათა რიგებში. კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ჩეხა სოციალისტების პარტიისა და სხვ. ცალკეული ძირეული ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ კოდექსი გადაეცეს პარლამენტს განსახილველად, ჰენლაინელთა პოზიციისა და ინგლისის მთავრობის „რჩევის“ მიუხედავად, და აგრეთვე მიღებულ იქნას ზომები ჰენლაინელთა უფრო-დაუფრო გაზშირებული პროვოკაციების აღსაკვეთად.

მთავრობა და კოალიციური პარტიების ლიდერები (ჩეხი კათოლიკეთა პარტიის გარდა) გვერდს უვლიან მასების მოთხოვნას და კვლავ განაგრძობენ ჰენლაინელებთან და სხვა ფაშისტურ ჯგუფებთან მოლაპარაკების გაჭიანურებას. ალბათ, იმ იმედით, რომ მათ მხარს დაუჭერს ინგლისის „მრჩეველი“ რენსიმენი.

დღეს გოჯამ მიიღო ჰენლაინელთა დელეგაცია კუნდტის მეთაურობით.

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე კომუნისტური ფრაქციის მიერ შემოტანილი წინადადება იმის შესახებ, რომ გამოყოფილ იქნას საპარლამენტო კომისია 24 კაცის შემადგენლობით გერმანულ რაიონებში არსებული მდგომარეობის გამოსაკვლევად და ფაშისტური ტერორის აღკვეთისათვის ღონისძიებათა გამოსამუშავებლად,—პარლამენტის პრეზიდიუმს გადაეცა განსახილველად.

უცხოეთის პრესა საბჭოთა საზღვარზე იაპონელთა პროვოკაციების შესახებ

ა. შ. შტატები

ნიუ-იორკი, 3 აგვისტო (საკდესი). ამერიკის პრესა ფართო კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა კავშირისა და მანჯურიის საზღვარზე მომხდარ ამბებს. საგაზეთო გაერთიანების „სკრიპს ჰოვარდის“ პრესა სწერს: „ჩვენთვის გასაგები იყო, რომ იაპონიას განზრახვა აქვს ომი აწარმოოს სსრ კავშირთან მომავალში, მაგრამ თუ რატომ ბედავს იაპონია ასეთი ნაბიჯის გადადგმას ახლა, როდესაც იგი ჩაფლულია ჩინეთში, ამის ახსნა ძნელია. აშკარაა, რომ იაპონიამ შეუფერებელი მომენტი აირჩია. შესაძლებელია, ეს საბოლოწარკვეთილების ნაბიჯიც იყოს“.

„ჰერალდ ტრიბუნი“ ფიქრობს, რომ იაპონიას შეიძლება სურს პროვოკაციების გზით ხელთ იგდოს სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ჭრილობა ჭრილობა ჭრილობა

„კომუნისტის“

სიგნალის შემდეგ

„მივხედოთ კურორტ აბასთუმანს“

„კომუნისტის“ 23 ივლისის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „მივხედოთ კურორტ აბასთუმანს“. კორესპონდენციაში კონკრეტულად იყო აღნიშნული ის უმსგავსობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა კურორტ აბასთუმანში, საკურორტო სამმართველოს ყოფილი უფროსის გეგუჩაძისა და მისი დაქაშების უხეირო მუშაობის შედეგად.

საქ. ჯანსახკომის კურორტთა მთავარი სამმართველოს უფროსი ექ. ფალავა, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

სანატორიუმი „არაზინდოს“ მთავარი ექიმი მ. სეფანია, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო სანატორიუმის წესიერი მუშაობა და ავადმყოფთა გულისხმიერი მომსახურება, განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან.

სანატორიუმი „არაზინდოს“ სამწეო ნაწილის გამგე ჭუმბურიძე, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო სანატორიუმი სათანადო ხარისხის სურსათ - სანოვაგით და ამასთანავე ავადმყოფებისადმი უხეში მოპყრობისათვის, მოიხსნა სამუშაოდან. აგრეთვე, უხეში ქცევისათვის მოიხსნა სამუშაოდან სანატორიუმი „არაზინდოს“ დიასახლისი ცქიტიშვილი, და უფროსი მზარეული ჯინჭარაძე, რომელმაც არ მიიღო საჭირო ზომები კერძის სუფთად დასამზადებლად.

კურორტი აბასთუმნის სანატარული სადგურის გამგე ექ. მეძველიას მიეთითა აბასთუმნის სანატორიუმებში, კერძოდ სანატორიუმ „არაზინდოში“ არა სათანადო სანიტარულ ჰიგიენური პირობების შესახებ და წინადადება მიეცა რომ მიიღოს გადამჭრელი ზომები კურორტი აბასთუმნის სანატორიუმებისა და სხვა ობიექტებზე სანიტარული ზედამხედველობის გასაძლიერებლად და შესაფერ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესაქმნელად.

აბასთუმნის პირველ სანატორიუმში კვების ერთფეროვნების გამო და სათანადო სანიტარულ - ჰიგიენური პირობებისა, და სანატორიული რეჟიმის არა ზუსტად დაცვისათვის, მიეთითა პირველი სანატორიუმის მთავარ ექიმს ამხ. კეჩხუაშვილს.

აგრეთვე მითითება მიეცათ სანატორიუმი „არაზინდოს“ ორდინატორ ექიმს აბდულაევას.

კურორტის დირექტორის ამხ. ბალათურიას პასუხისმგებლობით 10 აგვისტოდან სანატორიუმებში შემოღებული იქნება ნახევრად რესტორანული და კვების წინასწარი შეკვეთების სისტემა, მოწესრიგდება აგრეთვე დიეტური კვებაც.

კურორტის დირექტორმა ამხ. ბალათურიამ, კურორტის მთავარ ექიმთან ერთად ერთი დეკადის ვადაში უნდა დაამუშაოს ბაცილიანი და უბაცილო ავადმყოფებისათვის ცალკე სანატორიუმების გამოყოფის საკითხი და წარმოუდგინოს კურორტთა მთავარ სამმართველოს.

O

საქ. ჯანსახკომის კურორტთა მთავარი სამმართველოს მიერ დასახული ღონისძიებები კარგია კორესპონდენციაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მაგრამ მთავარია ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება.

მთავარსამმართველოს უფროსმა ამხ. ფალავამ სისტემატური კონტროლი უნდა გაუწიოს ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას.

მჯიცედ გავავაროთ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა

ჩაის კრეფაში შრომა ისევ მოუწესრიგებელია

ლანჩხუთის რაიონში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი. ივლისის გეგმა დანაკლისის ჩათვლით 1 აგვისტოსათვის შესრულებული იყო 71,8 პროცენტით, წლიური გეგმა კი — 52,5 პროცენტით.

რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ჩამორჩენის მთავარ მიზეზად კლიმატურ პირობებს ასახელებს, რაც არ არის სწორი. ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ის, რომ რაიონულმა პარტიულმა კომიტეტმა მობილიზაცია ვერ უყო თავის აქტივს და ვერ გაზარდა მასში პასუხისმგებლობა იმ საპატიო ამოცანის შესასრულებლად, რასაც ჩაის ფოთლის კრეფა წარმოადგენს. საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ სპეციალური დადგენილება გამოიტანა ადგილებზე პასუხისმგებელ მუშაკების მიმაგრების შესახებ. მაგრამ პარტრაიკომის მეორე მდივანი ამხ. ხოფერია ბიუროს დადგენილებას თვითნებურად სცვლიდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდა ამხანაგები ისე, რომ ეს არ იცოდა არც რაიკომის ბიურომ და არც რაიკომის პირველმა მდივანმა—ამხ. ბუაძემ. ამის შედეგად, მიმაგრებულთა შორის გაიზარდა უპასუხისმგებლობა და ადგილზე გამოუცხადებლობა. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები კი ეძებდნენ მიმაგრებულ ამხანაგებს და ელოდნენ დახმარებას.

გარდა ამისა, რაიონულმა პარტიულმა კომიტეტმა დროულად ვერ მოჰკიდა ხელი მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას შრომის ორგანიზაციის საქმეში. რაიკომის ყოფილმა მდივანმა, ხალხის მტერმა, რაიონის ისეთ დიდ კოლმეურნეობებში, როგორიცაა აცანის სტალინის სახელობის, მამათის ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელები, მთლიანად დაქსაქსა მუშა-ხელი, თვითეულ მკრეფავზე გაანაწილა 1-1,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რის შედეგად მკრეფავები თითქმის სრულიად მოსწყდნენ კოლმეურნეობის გამგეობისა და ბრიგადირების ხელმძღვანელობას. მკრეფავები ჩაის ფოთოლს ეზიდებოდნენ ერთი კილომეტრის მანძილზე უმთავრესად შუადღეზე და საღამოს, ხოლო მიმღებ პუნქტზე დიდი რიგი იმართებოდა. არსებული წესის მიხედვით მოკრეფილი ფოთლის ჩაბარება უნდა ხდებოდეს თვითეულ ბრიგადაში, იქ სადაც კრეფა სწარმოებს. გარდა ამისა, სამუშაოზე გამოსვლა ხდებოდა დაგვიანებით, რასაც თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ არც კოლმეურნეობათა გამგეობები და არც ბრიგადები. ბრიგადები სამუშაოზე გამოსული მუშახელის რაოდენობას იგებდნენ მხოლოდ, მაშინ, როდესაც მოკრეფილი ფოთლის ჩაბარება ხდებოდა. მანამდე კი არავინ იცოდა, სად მუშაობდა კოლმეურნეობის ესა თუ ის წევრი.

მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთის რაიონს მაისისა და ივნისის ჩაის კრეფის გეგმები არ შეუსრულებია, აქ მაინც არ შეისწავლეს ჩამორჩენის გამომწვევი მიზეზები და თვითდინებას მიეცნენ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად მიუთითა ლანჩხუთის რაიონულ კომიტეტს, რომ სწორად მოეწყო შრომის ორგანიზაცია ჩაის კრეფაში. მიუხედავად ამისა, ეს საქმე ჩამორჩენილია, ჯერ კიდევ ამ მხრივ სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხედებით.

ჩამორჩენის ერთერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში უხეშად არის დარღვეული ჩაის კრეფის აგროწესები (აცანა, ლესა და სხვ.). ჩაის პლანტაციებში ზოგან, უმთავრესად ლესაში, წაყწყდებით ისეთ ბუჩქებს, სადაც წელს ერთხელაც არ მოუკრეფათ ფოთოლი. ზოგან არ სწარმოებს განუწყვეტელი კრეფა, რის გამო ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჩაის ფოთოლი გაუხეშებულია (აცანა, ზემოაკეთი, ლესა).

ამ კოლმეურნეობებს აგროპერსონალი შესაფერ მომსახურებას არ უწევს, არ ეხმარება მათ ყოველდღიურ მუშაობაში, კოლმეურნეებს არ ასწავლიან კრეფის ახალ წესებს ახალი აგროწესების გამოსვლასთან დაკავშირებით, აქ კოლმეურნეობებში მკრეფავებთან მოაწყეს მხოლოდ ერთი საუბარი (ზოგი არც დასწრებია) და საქმე ამით „დაამთავრეს“. ჩაის აგრონომი ამხ. ხუნაძე და მტს-ს მთავარი აგრონომი ამხ. კუცა ქირიძე კოლმეურნეობებში იშვიათად დადიან და უმთავრესად კმაყოფილდებიან ადგილებიდან გადმოცემული ცნობებით. ხოლო სოფლებში მისვლას თავს არიდებენ.

ამოცანა ის არის, რომ რაიონულმა პარტიულმა კომიტეტმა, რაიაღ მასკომმა, რაიმიწგანმა და მტს-მა ხადვილი ოპერატიული ხელძღვანელობა და დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს შრომის მოწყობაში. განუხრელად შეასრულონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ჩაის კრეფის გეგმის გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

ა. ჭიჭინაძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორი

აჩიგვარაში ჩამორჩენა გრძელდება

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

აჩიგვარის (გალის რაიონი) საბჭოთა მეურნეობამ წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 540 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო ნაკისრი ვალდებულებით 600 ტონა. 1 აგვისტოსათვის ჩაის კრეფის ივლისის გეგმა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით შესრულებულია 67,8 პროცენტით. მიმდინარე წლის მაისის გეგმა მეურნეობამ შეასრულა 103,7 პროცენტით. ივნისისა და ივლისის გეგმის შესრულებაში მეურნეობა „ამარცხვინოდ ჩამორჩა.

რამ მიიყვანა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ასეთ ჩამორჩენამდე? პირველი, რაც თვალში გეცემათ, ეს არის ჩაის განუწყვეტელი კრეფის გაუტარებლობა, განსაკუთრებით ივნისში, რის შედეგად გეგმა ვერ შესრულდა: ივნისში ჩაის კრეფა სეზონურად მიმდინარეობდა, რაც გამოიწვია ფოთლის გატხეშება, დანაკარგები.

გეგმის შესრულებაზე ერთგვარი გავლენა მოახდინა ჩაის ფოთლის ხრახორმალურმა ვეგეტაციამ, რადგან ჩაის პლანტაციებში თავის დროზე არ შეიტანეს აზოტოვანი და სხვა სახის სასუქები. ამავე დროს დაარღვიეს პლანტაციების გათოხნის დაწესებული ვადები. მეურნეობაში შეხვედებით ისეთ პლანტაციას, რომელიც მთლიანად ეკალთა და ბალახითაა დაფარული. პლანტაციის პირველი გათოხნა 1 აგვისტოსაც არ იყო დამთავრებული, მაშინ, როდესაც ამ რიცხვისათვის მესამე გათოხნა უნდა დამთავრებინათ.

მეურნეობაში ითვლება 601 მუშა. ჩაის მკრეფავია 374, მთოხნელი — 107. ჩაის მკრეფავი სტახანოველია 165. სტახანოველთა შორის სუსტია კულტმასობრივი მუშაობა, არ ხდება მოწინავეთა გაცოცდილების გავრცელება. მეურნეობაში საუკეთესო სტახანოველები არიან: ეკატერინე კაღინიჩენკო (აცხვაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), ტასია ჟუკოვა, ნადია იაკუკაია, მ. ლეონტიევი, ლ. მაიბარადა, ქსენია ზინჩენკო, ა. სკლიაროვა, ტ. იერგინა, რომლებიც ყოველდღიურ ნორმებს 450-500 პროცენტით ასრულებენ. მეურნეობის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ სტახანოველთა რიგების გასამრავლებლად. მეურნეობის აგროტექნიკოსები რუხაძე, გასაშვილი, ჟურავლიოვი არ ადევნებენ თვალყურს აგროწესების დაცვას.

გალის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საჭირო დახმარება უნდა აღმოუჩინონ აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, რომ მან ჩამორჩენას თავი დააღწიოს.

ს. ჭოჭია

მოსავლის აღება ვაღაზე აღრე დაამთავრეს

(ზუგდიდი, საქ. კორესპონდენტისაგან)

ქვემო-სკრის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე—მშვიდობაძე) მოსავლის აღებას მომზადებული შეხვდა. შრომის სწორი ორგანიზაციითა და კოლმეურნეთა ერთსულოვანი დარაზმვით ამ კოლმეურნეობამ 7 დღეში აიღო ხორბალი 76 ჰექტარზე და ქერი 45-ზე.

ასევე სწრაფად და უდანაკარგოდ აიღო მოსავალი ორთაშენის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე—პავლიაშვილი).

მოსავლის აღების საქმეში თავისებურად: რ. მშვიდობაძემ, მ. მახარაშვილმა, ჯ. კაკაშვილმა, ვ. ჭერზეყოშვილმა, მ. კაკაშვილმა, თ. მახარაშვილმა, ლ. კაკაშვილმა, თ. მახარაშვილმა, ფ. მშვიდობაძემ, ს. მახარაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც დავალება 150—200 პროცენტით შეასრულეს.

ორივე კოლმეურნეობას, როგორც ბოსტნეული ისე სხვა კულტურები გათოხნილი და საუკეთესოდ მოვლილი აქვს. ამჟამად კოლმეურნეობის მთელი მუშა-ხელი დაცოცხალი ძალა გადაყვანილია ლეწვაზე და მოსავლის დაბინავებაზე.

ლ. ხოხობალაძე.



ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (წულუკიძის რაიონი). კოლმეურნეები ლიდა, სონია, გალინე და ბენედიქტე ცაგარეიშვილები თავიანთი ოჯახების წევრებით ჭკრეფენ ჩაის მწვანე ფოთოლს.

ფოტო სერედსი („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საქართველოს სსრ საგამოფენო კომისიაში

2 აგვისტოს შესდგა საქართველოს სსრ საგამოფენო კომიტეტის სხდომა. სხდომაზე მოსმენილ იქნა საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. რამიშვილის მოხსენება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში საქართველოს სსრ პავილიონთა შინაგანი გაფორმების თანაპროექტების დამტკიცების შესახებ. ამხ. რამიშვილმა სხდომას მოახსენა საქართველოს სსრ პავილიონთა გაფორმების საკითხები. მან აღნიშნა, რომ ორდენოსანი საქართველო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოწინავეა სოციალისტური ზონალური პავილიონით და სუბტროპიკული პავილიონით. რესპუბლიკური ზონალური პავილიონის გაფორმების საფუძვლად უდევს იდეა „საქართველო — დიდი სტალინის სამშობლო“. ამხ. რამიშვილმა აღნიშნა, რომ პავილიონთა გაფორმებაზე მუშაობენ საქართველოს მხატვართა და მოქანდაკეთა საუკეთესო ძალები და დასძინა, რომ მიღებულია ყველა ზომა ამ საქმის დაჩქარებით შესასრულებლად.

ამხ. რამიშვილმა ილაპარაკა იმ უდიდეს დახმარებაზე, რომელსაც რესპუბლიკურ საგამოფენო კომიტეტს უწევს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ლავრენტი ბერია.

ამხ. რამიშვილმა გააკეთა ინფორმაცია ღია ნაკვეთების გაფორმების მიმდინარეობაზე, რომელნიც გარს ერტყმიან საქართველოს სსრ პავილიონებს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

სხდომამ დაამტკიცა გამოფენის პავილიონთა შინაგანი თანაპროექტები.

სხდომამ დაამტკიცა აგრეთვე ციფრობრივი, სატექსტო მასალები დიაგრამებისათვის, და ფოტო გადაღების გეგმა, რომელნიც ნაჩვენები იქნება პავილიონებში.

სხდომაზე მოსმენილ იქნა მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველოს უფროსის — ამხ. იაკობაშვილის, მარცლეული სამმართველოს უფროსის — ამხ. მირიანაშვილის, მეთამბაქოობის სამმართველოს წარმომადგენლის—ამხ. ჯოჯუას, მეხილეობის სამმართველოს წარმომადგენლის — ამხ. ხოჯამიროვის, მეცხოველეობის სამმართველოსი — ამხ. მახმუროვის და საქართველოს ცხენთა სამმართველოსი — ამხ. შამათავას ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადებაზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო ამხ. მგელაძემ, ამხ. სურგულაძემ (სამხრეთ-ოსეთი), ხალვაშმა (აჭარა), ამხ. კოკონოვმა, ამხ. რცხილაძემ. მოხსენებიდან და გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ახალი კანდიდატების გამოვლინების მხრივ მუშაობა ჯერ სათანადოდ გაშლილი არაა. ბევრ ადგილებზე ჯერ კიდევ წესიერად არ მოხსენებია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატებს, სუსტად მიმდინარეობს ექსპონატების შერჩევა 1938 წლის მოსავლიდან, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების დარგში.

სხდომაზე აღინიშნა მეცხოველეობის სამმართველოს სუსტი მუშაობა კანდიდატების გამოვლინების საქმეში.

ადგილობრივი საგამოფენო კომიტეტების მუშაობის გაუმჯობესებისა და სოცშეჯიბრების შემდგომი გაშლის საკითხებზე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. ჰაპაიანი. მან აღნიშნა, რომ გააცნო სოცშეჯიბრების მიმდინარეობა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვებისათვის. გამოირკვა, რომ ყვარლის, ადიგენის, ასპინძის, ბაშკიჩეთის, დუშეთისა და თიანეთის საგამოფენო კომიტეტები და რაიმიწგანები შეუწყვეტელ უდარდელობას იჩენენ გამოფენისადმი მზადების საქმეში. ამის შედეგია რომ ამ რაიონებიდან რესპუბლიკურ საგამოფენო კომიტეტში არ შემოსულა არცერთი განცხადება გამოფენაში მონაწილეობის მიღებისათვის. რესპუბლიკური საგამოფენო კომიტეტის ცნობებით, ამ რაიონებში მოიპოვებიან კოლმეურნეობები და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, რომელნიც ღირსი არიან გამოფენაში იღებდნენ მონაწილეობას.

დასასრულ ამხ. ა. რამიშვილმა აღნიშნა, რომ ხალხის მტრები კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადები განზრახ ამცირებდნენ გამოფენაში მონაწილეთა რიცხვს, ჩქმალავდნენ მოწინავეებს და მათ მიღწევებს და ყოველმხრივ აბრკოლებდნენ გამოფენისათვის მზადებას. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანად და სასწრაფოდ აღმოვფხვრათ მავნებლობის შედეგები, მივიღოთ ყველა საჭირო ზომა ახალ კანდიდატთა გამოვლინების, ექსპონატთა წესიერად შერჩევისა და მოვლა-პატრონობისათვის. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს ადგილობრივი საგამოფენო კომიტეტების მუშაობა, ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება, რომ ორდენოსანი საქართველო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ღირსეულად წარსდგეს თავისი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ბრწყინვალე მაჩვენებლებით.

დასასრულ სხდომამ დაადგინა დაევალოს ადგილობრივ საგამოფენო კომიტეტებს, ამთავითვე, გაშალონ მუშაობა ახალ კანდიდატთა გამოსავლინებლად და 1938 წლის მოსავლიდან ექსპონატების შერჩევისა და წესიერი მოვლისათვის.

სჯახანოვური შეხვედრა კომკავშირის 20 წლისთავს

(ჭიათურა, საქ. კორესპონდენტისაგან)

კომკავშირის ჭიათურის რაიკომმა ფართოდ გაშალა მუშაობა ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავთან დაკავშირებით. სტალინის სახელობის მაღაროს მეოთხე უბანში შეიქმნა კომკავშირული ბრიგადები. ბრიგადებში მუშაობენ კავშირგარეშე ახალგაზრდებიც.

პირველ ბრიგადას კომკავშირელი სტახანოველი სერგო ფოფხაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის შემადგენლობაშია 6 ამხანაგი. მათ ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს 30 ტონა მარგანეცის გამოღება.

ლენინურ - სტალინური კომკავშირის 20 წლისთავთან დაკავშირებით ბრიგადამ ვალდებულება აიღო საჩუქრები მოუმზადოს ჩვენს დედა-სამშობლოს. ამ ვალდებულების გაღდებისათვის წარმოებული ბრძოლის პირველი შედეგები ასეთია: 16 ივლისს ბრიგადამ გეგმა 246,6 პროცენტით შეასრულა — 30 ტონის მაგიერ ამოღებულია 74 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი. 18 ივლისს კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწია, სახელდობრ, გეგმა 253,3 პროცენტით შეასრულა. დღესაც ბრიგადა აწარმოებს შეუნელებელ ბრძოლას ახალ-ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

მთავარი მექანიკური სახელოსნოს კომკავშირელი ზეინკალი სტახანოველი ვანო სარალიძე ამბობს: „მე პირადად გადავწყვიტე სახელოვანი იუბილეარის დღისათვის ჩვენს სამშობლოს საჩუქრად მივუძღვნა ყოველდღიური გეგმის 300 პროცენტით შესრულება და ტექნიკური სწავლების მეორე საფეხურის კურსის ფრიადზე დამთავრება“. ასეთსავე საჩუქრებს ამზადებენ სახელოსნოს სხვა ახალგაზრდა სტახანოველებიც.

ახალგაზრდათა ამ საუცხოო ინიციატივას ხელმძღვანელობა სჭირდება. კომკავშირის აღგილობრივი და რაიონული კომიტეტები უნდა დაეხმარონ მათ.

პოლკოვნიკი ა. სეგედი

ზურგის დაცვა საჰაერო თავდასხმათაგან

1914—1918 წლების იმპერიალისტური ომის დასაწყისისათვის გერმანელებს სულ რაღაც 232 თვითმფრინავი და 11 დირიჟაბლი ჰქონდათ. ფრანგებსა და ინგლისელებს ერთად 186 თვითმფრინავი მოეპოვებოდათ.

იმ პერიოდის ტლანქი და მოუხერხავი თვითმფრინავები ძალიან სუსტი და ადვილად დასამარცხებელი იყვნენ. მათზე მცირეძალოვანი, 70-80 ცხენისძალიანი მოტორები იდგმებოდა. იმ დროის საუკეთესო ნიმუშის თვითმფრინავები საათში 100 კილომეტრზე მეტს სისწრაფეს ვერ ანვითარებდნენ, მათი სასარგებლო დატვირთვა 50-70 კილოგრამს შეადგენდა, ხოლო სიმაღლეზე უკეთეს შემთხვევაში ისინი 2000 მეტრს აღწევდნენ. მიუხედავად ამისა, თვითმფრინავები და დირიჟაბლები ომის პირველი დღეებიდანვე ჩაებნენ ბომბარდირებაში.

გერმანიის დირიჟაბლებმა სამხედრო-საჰაერო კამპანია დაიწყეს 1914 წ. 5 აგვისტოს ლიეჟზე თავდასხმით. ამ თავდასხმას მოჰყვა ანტვერპენის, კალეს, ოსტენდეს, ნანსის, შემდეგ ლონდონის, პარიზისა და სხვა ქალაქების ბომბარდირება. მიუხედავად იმისა, რომ ბომბარდირების საშუალებანი შედარებით შეზღუდული და დაბალი ხარისხისა იყო, გერმანიის თვითმფრინავებმა ომის 4 წლის განმავლობაში საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის ქალაქებსა და სამხედრო ობიექტებზე დაახლოებით 27½ ათასი ტონა ბომბები ჩამოჰყარეს. ბევრმა დასახლებულმა პუნქტმა. მრავალგზის თავდასხმა განიცადა. ვენეციის ბომბარდირება მოხდა 36-ჯერ, პოლასი—40-ჯერ, ლონდონისა — 116-ჯერ. ლონდონს საერთო ანგარიშით ბომბებს უშენდა 450 თვითმფრინავი და რამდენიმე ათეული დირიჟაბლი. მატერიალური ზარალის გარდა ლონდონზე ყუმბარმშენთა თავდასხმებმა ადამიანთა მსხვერპლიც გამოიწვია—მოკლულ იქნა 1.446 კაცი და დაიჭრა 3.500. პარიზმა მარტო 1918 წლის განმავლობაში 32-ჯერ განიცადა გერმანიის ყუმბარმშენი ავიაციის საჰაერო თავდასხმები; ამ თავდასხმებში 483 თვითმფრინავი მონაწილეობდა.

ზოგიერთ საჰაერო თავდასხმას ფრიად საგრძნობი შედეგები მოჰყვა. ამ მხრივ საყურადღებოა ის თავდასხმები, რომლებიც გერმანიის ავიაციამ მოახდინა 1918 წ. მაისში ფრანგების საარტილერიო საწყობებზე ბლიარკთან და სენიევლთან. ღამის ოთხი ირიშით გერმანელებმა შესძლეს ამ პუნქტებში 12.000 ტონა ჭურვებისა და დაახლოებით 70 მილიონი შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ვაზნების მოსპობა. კიდევ უფრო სერიოზული ზარალი განიცადეს ინგლისელებმა გერმანიის ავიაციის ბომბარდირებისაგან კალეში, სადაც თავმოყრილი იყო ინგლისის არმიის საავტომობილო ქონების მარაგი. ამ ქალაქზე ღამით ორჯერ თავდასხმისას ბომბარდირებისაგან გამოწვეული ხანძრებით მოსპობილ იქნა ინგლისელების საავტომობილო პარკის მთელი სათადარიგო ნაწილების თითქმის ნახევარი, ზარალმა 125 მილიონ მანეთს მიაღწია.

როდესაც ყუმბარმშენმა ავიაციამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ღრმა ზურგის დასახლებულ პუნქტებს, ყველა მეომარი ქვეყანა იძულებული გახდა გაეშალა ფართო ღონისძიებანი საჰაერო თავდაცვისათვის. ასე, მაგალითად. ლონდონის დაცვაში 1918 წელს ჩაბმული იქნა დაახლოებით 30 ათასი კაცი ინგლისის არმიის მეთაურთა და რიგითი შემადგენლობიდან, 282 გამანადგურებელი თვითმფრინავი, 266 საზენიტო ქვემეხი, 353 პროჟექტორი. გერმანიის ზურგის საჰაერო თავდაცვას 717 პროჟექტორი, ასობით გამანადგურებელი და 58 ათასი კაცი.

იმპერიალისტური ომის დროს საზენიტო ქვემეხების რიცხვი დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების არმიებში 1914 წელთან შედარებით ერთი-ასად და კიდევ მეტად გაიზარდა და ომის უკანასკნელ პერიოდში 8 ათასს მიაღწია. ომის დასავლეთ ასპარეზზე საზენიტო ქვემეხების ცეცხლით ჩამოგდებულ თვითმფრინავთა რიცხვმა 3 ათასს მიაღწია, ამასთან ჩამოგდებულ თვითმფრინავთა 40-45 პროცენტი მოდიოდა 1918 წელზე, როდესაც საზენიტო არტილერიის მატერიალური ნაწილის ხარისხი თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა.

საჰაერო თავდაცვამ თავის განკარგულებაში მიიღო არა მარტო საზენიტო არტილერია, არამედ მოწინააღმდეგის ავიაციასთან ბრძოლის სხვა ქმედი საშუალებაც, — ჩვენ ვლაპარაკობთ გადამღობ აეროსტატებზე. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მონიტორებსაც, კერძოდ შუქმონიტორებს.

ინგლისელებისა და ფრანგების გამანადგურებლებთან საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა ავიაციამ დასავლეთის ფრონტზე ომის ერთი წლის განმავლობაში 3.138 თვითმფრინავი დაჰკარგა; გერმანიის გამანადგურებელმა ავიაციამ ამავე პერიოდში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე მოწინააღმდეგის დაახლოებით 5.000 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

საჰაერო თავდაცვის ყველა საშუალებათა მობილიზაციამ და განვითარებამ მალე გადამჭრელი გავლენა იქონია ყუმბარმშენების მოქმედებაზე. გერმანიის 483 თვითმფრინავიდან, რომლებიც 1918 წელს მონაწილეობას იღებდნენ პარიზზე თავდასხმებში, მხოლოდ 37 თვითმფრინავმა შესძლო მიზნის მიღწევა და მათგანაც 13 ჩამოგდებულ იქნა. ინგლისის ტერიტორიაზე ფრენას კი გერმანიის ავიაცია 1918 წლის მეორე ნახევარში უკვე ვეღარ ბედავდა.

იმ ოცი წლის მანძილზე, რაც იმპერიალისტური ომის შავ დღეებს გვაშორებს, ავიაციის განვითარება მნიშვნელოვნად წავიდა წინ.

თანამედროვე ყუმბარმშენ თვითმფრინავს თითქმის ერთი-სამად მეტი სიჩქარე აქვს, ვიდრე 1916-1918 წლების პერიოდის მის წინამორბედ თვითმფრინავებს. ზოგიერთი ტიპის ყუმბარმშენს, რომელსაც 2-3 ტონა ყუმბარები მიაქვს, შეუძლია 8-9 ათას მეტრ სიმაღლეს მიაღწიოს და საათში 400 კილომეტრზე მეტი სისწრაფე განავითაროს.

მნიშვნელოვნად გადიდდა ყუმბარმშენების მოქმედების რადიუსიც. საშუალო ყუმბარმშენს (ორმოტორიანს) შეუძლია 1.000 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორდეს თავის აეროდრომს, ხოლო მძიმეს (მრავალმოტორიანს) მთელ რიგ შემთხვევებში შეუძლია იმოქმედოს 2000-მდე კილომეტრის მანძილზე.

ყუმბარმშენი ავიაციის შეიარაღება ბევრად გაუმჯობესდა, გაუმჯობესდა ყუმბარების ტყორცნის დამიზნება, გადიდდა ავიაბომბების გამანადგურებელი ძალა.

ყოველივე ეს გვაიძულებს ანგარიში გავუწიოთ ავიაციას, როგორც მომავალი ომის მეტად მრისხანე და საშიშ საშუალებას. ჩვენ პრაქტიკაზე ვხედავთ, თუ როგორ სპობენ ფაშისტი ყაჩაღები ჰაერიდან ესპანეთისა და ჩინეთის მშვიდობიან მოსახლეობას. ფაშისტების ავიაცია ანგრევს ესპანეთის ქალაქებს, ავიაბომბებით აფეთქებულ შენობათა ნანგრევებში სუკუნეობრივი კულტურის უდიდესი განძები იღუპება. საჰაერო თავდასხმათა მსხვერპლი ათასობით განისაზღვრება. მარტო ბარსელონაში ყუმბარების დაშენის სამი დღის განმავლობაში (16-დან 19 მარტამდე) მოკლულ იქნა 1.300 კაცი და დაიჭრა 2.000. ჩინეთში იაპონიის ავიაცია არა მარტო სამრეწველო ქალაქებს, ეკონომიურ და სამხედრო ცენტრებს ანადგურებს, არამედ სწვავს და სპობს ჩინეთის სოფლებსა და არამჭიდროდ დასახლებულ პუნქტებსაც, რომლებსაც არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არა აქვთ.

მაგრამ თანამედროვე საჰაერო თავდაცვას თავის განკარგულებაში აქვს საკმარისი საშუალებანი მოწინააღმდეგის ყუმბარმშენი ავიაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. უკანასკნელ წლებში შეიარაღებაში გაჩნდა მსხვილკალიბრიანი საზენიტო ზარბაზნები (100-150 მმ), რომელთა სროლის მაქსიმალური ჰორიზონტალური სიშორე აღწევს 25 კილომეტრს, ხოლო სიმაღლეზე მათი ყუმბარები 16 კილომეტრამდე აღწევს. მნიშვნელოვნად გაიზარდა საზენიტო ქვემეხების სწრაფმსროლობა. ახალი ნიმუშის წვრილკალიბრიან საზენიტო ზარბაზნებს შეუძლიათ ცეცხლის ტემპი აიყვანონ წუთში 250 გასროლამდე.

თანამედროვე საზენიტო ბატარეების უმრავლესობა აღჭურვილია ცეცხლის ცენტრალური მართვის ხელსაწყოებით, რომლებიც ავტომატურად ახდენენ ცეცხლის საწარმოებლად საჭირო მონაცემების ყველა გაანგარიშებას. საზენიტო ბატარეები აღჭურვილია ახალი ტიპის პროჟექტორებით, რომელთა შუქის ძალა 800 მილიონ სანთლამდე აღწევს, და ხმაღამჭერებით, რომლებსაც შეუძლიათ ჰაერში მოწინააღმდეგის ყუმბარმშენის აღმოჩენა იმ დროს, როცა იგი 22 კილომეტრის მანძილზეა საზენიტო არტილერიის საცეცხლო პოზიციებიდან.

ახალი ტიპის გადამღობ აეროსტატებს (რამდენიმე „საჰაერო სართულად“) შეუძლიათ ფოლადის გვარლის ატანა 4.000 მეტრის სიმაღლეზე. თუ ასეთი აეროსტატები საკმაო რაოდენობითაა, ისინი გვარლებით ჰქმნიან ვერტიკალურ დაბრკოლებას, რომელიც ძალიან სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ყუმბარმშენებისათვის. აეროსტატის გვარლთან დაჯახებისას თვითმფრინავი ისე ზიანდება, რომ უთუოდ იღუპება.

მოწინააღმდეგის ყველა სახის ავიაციასთან საბრძოლველად ერთერთ უსერიოზულეს საშუალებას წარმოადგენს თანამედროვე ჩქარი გამანადგურებელი თვითმფრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ღრმად შევისწავლოთ ბოლშევიკური პარჯიის გმირული ისტორია

ცუდად ასწავლიან პარჯიის ისტორიას

(ჭიათურა, საქ. კორესპონდენტისაგან)

რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია დღემდე სათავეში ვერ ჩაუდგა ბოლშევიზმის გმირული ისტორიის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საქმეს.

მარგანტრესტის პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტისტორიის შემსწავლელ წრეში (პროპაგანდისტი—შ. შეყლაშვილი) 27 მსმენელი ირიცხება. ერთი შეხედვით, ამ წრეში ყველაფერი რიგზეა: პროპაგანდისტი შერჩეულია, მეცადინეობის ჩაშლა არ ხდება, აღრიცხვა მოწესრიგებულია, სამეცადინო ოთახიც გამოყოფილია. მაგრამ წრის მუშაობის დაწვრილებითმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის. წრე ნამდვილად მიმდინარე პოლიტიკის საკითხების შესწავლას უფრო ემსახურება, ვიდრე პარტიის ისტორიის შესწავლას. ასე, მაგალითად, 17 მარტიდან წრეს დღემდე 17 მეცადინეობა აქვს ჩატარებული. აქედან პროგრამის მიხედვით ჩატარებულია 6 მეცადინეობა და პარტიის ისტორიიდან გავლილი აქვთ მხოლოდ სამი თემა. წრის მსმენელთა ნაწილმა თითქმის არაფერი იცის საქ. კ. პ. (ბ) ისტორიიდან გავლილი თემების შესახებ.

მსმენელებს ამხ. სერგო პეტრიაშვილს, ამროსი შეყილაძეს, ბ. დარბაიძეს, მარტინჯუბინაძს და ბ. აკიმენკოს გაცდენილი აქვთ 4-17 მეცადინეობა, მათ მიმართ კი პარტიულ ორგანიზაციას დღემდე არავითარი ღონისძიება არ მიუღია. პროპაგანდისტი ამხ. შეყლაშვილი ამ ხნის განმავლობაში მეთოდსემინარს არ დასწრებია 9-ჯერ, მათ შორის 6-ჯერ არასაპატიო მიზეზით.

უფრო სავალალო მდგომარეობაა ლენინის სახელობის მაღაროსთან არსებულ პარტორგანიზაციის პოლიტწრეში. ამ წრის პროპაგანდისტად დროებით გამოყოფილია ამხ. პართენ ალავიძე. მას ყოველგვარი საშუალება აქვს სამაგალითოდ მოაწყოს წრის მეცადინეობა, მაგრამ ამ საშუალებებს არ იყენებს. მეცადინეობა მეტწილად დაბალი ხარისხით, უშინაარსოდ მიმდინარეობს. პროპაგანდისტმა თავისი მოვალეობის შესრულების გასაადვილებლად თავისებური მეთოდი შეიმუშავა. ამ „მეთოდის“ მიხედვით მეცადინეობის დაწყებისას არ მართავს შესავალ საუბარს, არ სვამს კითხვებს გავლილი თემის შეთვისების გამოსარკვევად. ახალი თემის ახსნას ძალიან ცოტა დროს ანდომებს. მაგალითად, პარტისტორიის მესამე თავი „ლენინური „ისკრა“, ეკონომიზმის განადგურება და ესერულ-ნაროდნიკულ ტერორიზმთან ბრძოლა“ მან 33 წუთში გადასცა მსმენელებს. პროპაგანდისტი ამხ. ალავიძე საჭიროდ არ სთვლის მეცადინეობის ბოლოს მსმენელთ მორიგი თემა დაუსახელოს.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პროპაგანდისტთა მეთოდური მუშაობა. აღნიშნული წრეების პროპაგანდისტებმა ახლაც არ იციან, როგორ უნდა მოეწყოს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა. საუბრები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკეულ მომენტებს არ უკავშირდება.

უკეთესად მუშაობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისათვის სტალინის, ვოროშილოვის, ბერიას, დიმიტროვის, კაგანოვიჩის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებთან არსებული პარტორგანიზაციები. პროპაგანდისტები ამხ. შ. მეცხოვრიშვილი, შ. ცერცვაძე, დ. ბრეგვაძე, გ. შეყლაშვილი, ა. ყველაშვილი და ალ. ცუცქირიძე მთელი მონდომებით იბრძვიან, რომ მსმენელებში გაუმჯობესდეს გავლილი მასალის შეთვისების ხარისხი. მათ არ ჰყავთ ისეთი მსმენელი, რომელიც ვერ ერკვეოდეს ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიაში.

პარტიის სახელოვანი ისტორიის უკეთესად შესწავლისათვის მარგანტრესტის პარტორგანიზაციამ უნდა მიბაძოს მაღაროების მოწინავე პარტორგანიზაციებს.

მ. გაფრინდაშვილი.

მეჯვი ყურადღება პარჯიულ აქტივის სწავლებას

(სტალინირი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

სამხრეთ-ოსეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა უთუოდ დიდი მუშაობა ჩაატარეს მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. ოლქის სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობის საქმეში, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციებში პარტიული განათლების საქმე ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული.

ავიღოთ თუნდ პარტიული განათლების ისეთი უმნიშვნელოვანესი უბანი, როგორიცაა პარტიული აქტივის სწავლება. საოლქო ცენტრში—სტალინირშიც კი პარტიული აქტივის სწავლება სამარცხვინოდაა ჩამორჩენილი. აქ არსებობს პარტიული აქტივის ორი სემინარი და არც ერთში არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. სემინარს, რომელსაც ამხ. ა. კასაბიევი (საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი) ხელმძღვანელობს, მეცადინეობის ჩაშლის ხშირი შემთხვევები აქვს. 22 აპრილიდან 1 აგვისტომდე აქ მეცადინეობა მხოლოდ 4-ჯერ ჩაატარეს. ამ სემინარში მსმენელთა საგრძნობი ნაწილი პარტიის საოლქო კომიტეტის მუშაკებია, მაგრამ მიუხედავად ამისა მეცადინეობის გაცდენები მაინც ხშირია. ამხ. ნ. ჩოჩიევი მეცადინეობას ჯერ არც კი დასწრებია. ამ 4 თვის განმავლობაში ამჯ. სოლ. ხახანოვი და ეფ. კაჯაევი მეცადინეობას იხოლოდ ერთხელ დაესწრენ.

ამ მხრივ არც მეორე სემინარია უკეთეს მდგომარეობაში (ხელმძღვანელი ამხ. ვ. ხეთაგუროვი). იანვრიდან დღემდე ეს სემინარი 20-ის ნაცვლად მხოლოდ 10-ჯერ შეიკრიბა. უკანასკნელი მეცადინეობა 21 ივნისს იყო, ხოლო ამის შემდეგ კი ერთხელაც არ ჩატარებულა. დასწრება აქაც არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, ამხ. პ. ხარებოვი 6-ჯერ არ დასწრებია მეცადინეობას, ამხ. ზ. ძიგოევი 5-ჯერ და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ მხოლოდ ერთხელ მოისმინა ქალაქის პარტაქტივის სემინარის ხელმძღვანელის ამხ. ვ. ხეთაგუროვის მოხსენება სემინარის მუშაობაზე. ეს იყო 10 მაისს, საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის საოლქო კონფერენციამდე. აღნიშნული იყო სემინარის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, საოლქო კომიტეტის ბიურომ მიუთითა მსმენელებს ლ. კოკოევს, ვას. ჯიოევს, ე. კოჩიევს, დ. თედეევს და პარტაქტივის სემინარის ხელმძღვანელს ამხ. ვ. ხეთაგუროვს იმ გარემოებაზე, რომ მათი მიზეზით ხშირი იყო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები და გააფრთხილა ისინი—თუ კიდევ მსგავს მოვლენებს ექნებოდა ადგილი, საოლქო კომიტეტი უფრო გადამჭრელ ზომებს მიიღებდა. ამ დადგენილებიდან გავიდა ორთვენახევარზე მეტი, მეცადინეობის ჩაშლა და მსმენელთა დაუსწრებლობა კვლავ გრძელდება, ხოლო პარტიის საოლქო კომიტეტი კი არავითარ ზომებს არ იღებს.

პარტიული აქტივის სწავლების მხრივ რაიონებში უარესი მდგომარეობაა. ჯავაში პარტიული აქტივის სწავლება ჩაშლილია. რაიაქტივის სემინარი აქ მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. დღემდე აქ ერთი მეცადინეობაც არაა ჩატარებული. სემინარის ხელმძღვანელად დამტკიცებულია ამხ. გ. მედოევი, ის რამდენჯერმე ამოვიდა სტალინირიდან ჯავაში მეცადინეობის ჩასატარებლად, მაგრამ მსმენელები არასდროს მთლიანად შეკრებილი არ დახვდნენ. პარტაქტივის სემინარის მუშაობის მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ლენინგორის რაიონშია. რაიაქტივის სემინარი ცუდად მუშაობს ზნაურშიაც. ჩშირად აქვს ადგილი მეცადინეობის ჩაშლას სემინარის ხელმძღვანელის ამხ. დ. ბეკოევის გამო. მოუცხადებლობის გამო.

პარტკაბინეტს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს პარტიულ აქტივს თეორიულ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, მაგრამ სამწუხაროდ, სამხრეთ-ოსეთში პარტკაბინეტები ცუდად მუშაობენ. საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს სახლი მოთავსებულია მას შემდეგ, რაც ჯავის პარტკაბინეტის გამგე სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, ხოლო პარტკაბინეტს გამგე ახლაც არა ჰყავს. ზნაურში პარტკაბინეტი მოწყობილია ათწლედის შენობის ძირა სართულის ერთ ოთახში. ამ ოთახის გარშემო განუწყვეტელი დავა აქვთ რაიკომსა და ათწლედს.

სამხრეთ-ოსეთში თვალსაჩინო მუშაობაა ჩატარებული ადგილობრივი კადრების გაბედულად დაწინაურებისათვის. პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც პირველად იმყოფება პასუხსაგებ სამუშაოზე. ისინი აუცილებლად საჭიროებენ ყოველდღიურ დახმარებას, თეორიულ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა ისე უნდა დააყენოს პარტიული აქტივის სწავლება ოლქში, რომ დაწინაურებულმა კომუნისტებმა, ლენინ-სტალინის საქმის ერთგულმა ამხანაგებმა, ღირსეულად გაუწიონ ბოლშევიზმის დაუფლების თითება ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ.

ა. ჯუმბურიძე



ლითონის კონსტრუქციების ქარხნის აგიტატორები (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. ბუბნოვი, გ. გოცაძე და პროპაგანდისტი ს. კაკულია აგროვებენ საგაზეთო მასალებს საუბრების ჩასატარებლად საამქროებში.

ფოტო ი. რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

სუსტად იბრძვიან ბოლშევიზმის დაუფლებისათვის

(ფოთი, საქ. კორესპონდენტისაგან)

ფოთის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული განათლების ქსელის მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მაგალითად გემთშემკეთებელ ქარხანასთან არსებული წრე (პროპაგანდისტი შ. ნოროაძე) კარგად მუშაობს. მსმენელები უკლებლივ ცხადდებიან მეცადინეობაზე, ადგენენ კონსპექტებს. პროპაგანდისტი ყოველი საუბრის შემდეგ ატარებს 20 წუთიან საუბარს მიმდინარე პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. ასევე კარგად მუშაობს ქალაქის საბჭოს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პარტისტორიის შემსწავლელი წრე (პროპაგანდისტი ქრ. გუჯაბიძე).

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს მეტად სერიოზულ დეფექტებს პარტგანათლების ქსელის მუშაობაში.

სოფ. ყულევში 3 თვის განმავლობაში პროპაგანდისტის უყოლობის გამო პოლიტმეცადინეობა არ ჩატარებულა. წყალსადენის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლის მეცადინეობა ივლისში 2-ჯერ ჩაშალა. ეს იმიტომ რომ პარტორგმა მ. დარჩიამ ვერ უზრუნველჰყო მსმენელთა მეცადინეობაზე დასწრება.

„საქვაჭრობის“ პირველადს პარტორგანიზაციასთან ნორმალური ტიპის ორი პოლიტსკოლა არსებობს, რომელთა მეცადინეობა პროპაგანდისტთა გამოუცხადებლობის გამო ხშირად იფუშება.

ქალაქის საბჭოს პირველადი პარტორგანიზაციის ნორმალური ტიპის პოლიტსკოლის პროპაგანდისტი ალ. ანდრიაძე მოუმზადებლად ცხადდება მეცადინეობაზე. მისი მსმენელები კი ელემენტარულ საკითხებშიაც ვერ ერკვევიან.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი („საქვაჭრობა“ გაკლილია, სარეწკოოპი) საჭიროდ არ სცნობს პარტიულ კრებაზე განიხილოს პოლიტსწავლების მიმდინარეობის საკითხი.

გეგების ელინგში (დოკი) არსებული პოლიტწრე პროპაგანდისტი—პ. ლაბანოვის დაუდევრობით დაიშალა. საქალაქო კომიტეტმა იქ სხვა პროპაგანდისტი მიამაგრა და ამჟამად ეს სკოლა კარგად მუშაობს.

საჭიროა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტმა უფრო ენერგიულად იბრძოლოს პარტიული განათლების ქსელის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ზ. მელიქია.

პარჯკაბინეტი უხეიროდ მუშაობს

(ხაშური, საქ. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პარტიული კაბინეტი (გამგე ამხ. გრ. დარსაძე) სუსტად მუშაობს. იგი ჯერ კიდევ ვერ გახდა პარტიული განათლების ნამდვილ ლაბორატორიად.

პარტიულ კაბინეტში იშვიათად ტარდება ლექციები, მოხსენებები და საუბრები საერთაშორისო თემაზე. აგიტატორები ვერ ღებულობენ სათანადო კონსულტაციებს, პარტკაბინეტის გამგეს ამხ. გრ. დარსაძეს ხშირად იქ ვერ ნახავთ. ეს იმიტომ, რომ მას აღებული აქვს საგნები სკოლებში და იქ მეცადინეობას მეტ დროს ანდომებს. ბიბლიოთეკის გამგეს ამხ. ნ. მაღრაძესაც არ სცალია პარტკაბინეტისათვის.

პარტკაბინეტი გადაქცეულია სხდომათა მოწვევის დარბაზად. აქ ნახავთ მოლარეებსაც, რომლებიც ხელფასს არიგებენ.

არსებობს რაიაქტივის სემინარი, რომელიც უნდა ტარდებოდეს ყოველი თვის 8, 16 და 28 რიცხვში, მაგრამ ივნისის თვეში სემინარიის ორი მეცადინეობა ჩაშალა. სემინარში ირიცხება 30 კაცი, აქედან, გ. კაპანაძე, შ. ზურაბაშვილი და მ. კაპლეი სემინარს სისტემატურად არ ესწრებიან.

პროპაგანდისტთა სემინარი ტარდება დაბალი ხარისხით. პროპაგანდისტები შ. კოკოლაშვილი, ზ. ქურდაძე, ს. ბრეგვაძე და მ. ჭანკოტაძე ზედმეტად სთვლიან დაესწრონ სემინარის მეცადინეობას.

პარტკაბინეტს აქვს გეოგრაფიული რუკები, მაგრამ მათ აგიტატორები და პროპაგანდისტები იშვიათად იყენებენ. ჟურნალ-გაზეთებს მაგიდაზე ვერ ნახავთ. ხშირად მისულან აგიტატორები და პროპაგანდისტები პარტკაბინეტში მასალების მისაღებად, მაგრამ ისინი ბიბლიოთეკის გამგე ნ. მაღრაძის იქ არ ყოფნის გამო, უკან დაბრუნებულან.

გრ. ცუცქირიძე.

რაჭამ შეწყდა მეცადინეობა?

მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია პარტისტორიის შემსწავლელი სამი წრე: ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე და ერთი დაბალი ტიპის პოლიტწრე. დღემდე პოლიტწრეების მეცადინეობა კარგად მიმდინარეობდა, უკანასკნელად კი მუშაობა შესუსტდა. პოლიტწრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ფაბრიკის დირექტორი ამხ. ბუჯიაშვილი, დაბალი ტიპისაა. იგი ცხრა მსმენელს აერთიანებს. ეს წრე ყველაზე სანიმუშო იყო დღემდე, როგორც ხელმძღვანელი, ისე მსმენელები უსაგნოდ არ დასწრებიან. ამ ნიადაგზე ხშირად ჩნდებოდა ხოლმე ორგანიზაციული ხასიათის ხარვეზები. ცხრა ქვაბი 256 კვ. მეტრის გახურების არეთი აწვდის ცალ-ცალკე მანქანებს ორთქლს. უზარმაზარია ეს ქვაბები. როდესაც მათ შორის დიდხანს, თავი გიგანტის მუცელში გგონია.

გემის გვერდებს ამშვენებს რამდენიმე კატერი და საშველი ნავი, რომლებიც თოვლივით თეთრფერად არიან შეღებილნი. მათ მახლობლად დადგმული იქნება სამი თვითმფრინავი, რომლებიც საჭიროებისამებრ გაიგზავნებიან ყინულების დასაზვერავად. მათი წყალში ჩაშვება და ბორტზე ატანა მექანიკურად იწარმოებს, ხოლო მთელი ეს ოპერაცია რამდენიმე წუთს მოხდება.

ზემო ერდოზე დადგმულია 4 ონკანი ტვირთების ასაწევად. აქვე არის მოთავსებული აგ გემისათვის სპეციალურად დამზადებული დეზკამერა და ცალკე — კაიუტა-იზოლიატორი ინფექციურ ავადმყოფთათვის.

გემზე სამი მთავარი სართულია. ზემო ერდოზე, შუა ადგილს, იმაზე უნდა წაიყვანონ იგი იქით, საითკენაც მას მიუთითებს უძლეველი ბოლშევიკური პარტია. ერთიც და მეორენიც საბჭოთა ადამიანები არიან. ჩვენ ყველა ერთ დიდ საქმეს ვაკეთებთ. ჩვენი საერთო ინტერესი გამოიხატება იმაში, რომ ყინულმჭრელმა ბრწყინვალედ იმუშაოს ჩვენი საყვარელი სამშობლოს სასახელოდ.

ჩვენ მივცურავთ გემით, რომელსაც სრულიად თამამად შეუძლიან იამაყოს თავის მაღალი ტექნიკური მოწყობილობით. იგი სხვა გემებთან შედარებით საუკეთესოდ არის მექანიზირებული, რის გამოც მისი საცდელი სვლა სერიოზულ ხასიათს ღებულობს. ყველაფერი, რისგანაც იგი გააკეთეს იგი, ადამიანის შრომით არის გაკეთილშობილებული, სულშთაბერილია ტექნიკური აზრით. ასეთი გემი თავისუფლად შეეჯიდება ყინულთა მთელ ლაშქარს.

ყინულმჭრელი შემოსილია სპეციალურად ყინულებთან საბრძოლველი ფოლადის ჯავშნით. 20.000 ცხენის ძალის მქონე ორთქლის მანქანები აბრუნებენ სამ ლილვს, რომელზედაც ჩამოცმულია უზარმაზარი ხრახნები. ცხრა ქვაბი 256 კვ. მეტრის გახურების არეთი აწვდის ცალ-ცალკე მანქანებს ორთქლს. უზარმაზარია ეს ქვაბები. როდესაც მათ შორის დიდხანს, თავი გიგანტის მუცელში გგონია.

გემის გვერდებს ამშვენებს რამდენიმე კატერი და საშველი ნავი, რომლებიც თოვლივით თეთრფერად არიან შეღებილნი. მათ მახლობლად დადგმული იქნება სამი თვითმფრინავი, რომლებიც საჭიროებისამებრ გაიგზავნებიან ყინულების დასაზვერავად. მათი წყალში ჩაშვება და ბორტზე ატანა მექანიკურად იწარმოებს, ხოლო მთელი ეს ოპერაცია რამდენიმე წუთს მოხდება.

ზემო ერდოზე დადგმულია 4 ონკანი ტვირთების ასაწევად. აქვე არის მოთავსებული აგ გემისათვის სპეციალურად დამზადებული დეზკამერა და ცალკე — კაიუტა-იზოლიატორი ინფექციურ ავადმყოფთათვის.

გემზე სამი მთავარი სართულია. ზემო ერდოზე, შუა ადგილს, იმაზე უნდა წაიყვანონ იგი იქით, საითკენაც მას მიუთითებს უძლეველი ბოლშევიკური პარტია. ერთიც და მეორენიც საბჭოთა ადამიანები არიან. ჩვენ ყველა ერთ დიდ საქმეს ვაკეთებთ. ჩვენი საერთო ინტერესი გამოიხატება იმაში, რომ ყინულმჭრელმა ბრწყინვალედ იმუშაოს ჩვენი საყვარელი სამშობლოს სასახელოდ.

ჩვენ მივცურავთ გემით, რომელსაც სრულიად თამამად შეუძლიან იამაყოს თავის მაღალი ტექნიკური მოწყობილობით. იგი სხვა გემებთან შედარებით საუკეთესოდ არის მექანიზირებული, რის გამოც მისი საცდელი სვლა სერიოზულ ხასიათს ღებულობს. ყველაფერი, რისგანაც იგი გააკეთეს იგი, ადამიანის შრომით არის გაკეთილშობილებული, სულშთაბერილია ტექნიკური აზრით. ასეთი გემი თავისუფლად შეეჯიდება ყინულთა მთელ ლაშქარს.

ყინულმჭრელი შემოსილია სპეციალურად ყინულებთან საბრძოლველი ფოლადის ჯავშნით. 20.000 ცხენის ძალის მქონე ორთქლის მანქანები აბრუნებენ სამ ლილვს, რომელზედაც ჩამოცმულია უზარმაზარი ხრახნები. ცხრა ქვაბი 256 კვ. მეტრის გახურების არეთი აწვდის ცალ-ცალკე მანქანებს ორთქლს. უზარმაზარია ეს ქვაბები. როდესაც მათ შორის დიდხანს, თავი გიგანტის მუცელში გგონია.

გემის გვერდებს ამშვენებს რამდენიმე კატერი და საშველი ნავი, რომლებიც თოვლივით თეთრფერად არიან შეღებილნი. მათ მახლობლად დადგმული იქნება სამი თვითმფრინავი, რომლებიც საჭიროებისამებრ გაიგზავნებიან ყინულების დასაზვერავად. მათი წყალში ჩაშვება და ბორტზე ატანა მექანიკურად იწარმოებს, ხოლო მთელი ეს ოპერაცია რამდენიმე წუთს მოხდება.

ზემო ერდოზე დადგმულია 4 ონკანი ტვირთების ასაწევად. აქვე არის მოთავსებული აგ გემისათვის სპეციალურად დამზადებული დეზკამერა და ცალკე — კაიუტა-იზოლიატორი ინფექციურ ავადმყოფთათვის.

გემზე სამი მთავარი სართულია. ზემო ერდოზე, შუა ადგილს, იმ

ლითონის კონსტრუქციების ქარხნის აგიტატორები (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. ბუბნოვი, გ. გოცაძე და პროპაგანდისტი ს. კაკულია აგროვებენ საგაზეთო მასალებს საუბრების ჩასატარებლად საამქროებში.

ფოტო ი. რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

მზადება თეორიული კონფერენციისათვის

პარტიის წევრობის კანდიდატებთან და თანამგრძნობებთან პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ჩვენი პარტიის ცენტრალური ამოცანაა.

ეს კარგად აქვს შეგნებული თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიულ კომიტეტს. პარტკომმა ამ უკანასკნელ დროს გადაჭრით გააუმჯობესა პარტკანდიდატებთან და თანამგრძნობებთან მუშაობა.

პარტკომი 15 აგვისტოსათვის ემზადება თეორიული კონფერენციის მოსაწყობად. პარტიის წესდების ცალკეულ საკითხებზე მომხსენებლად გამოყოფილია 6 ამხანაგი. აქედან პარტიის წევრობის 3 ახლად მიღებული კანდიდატია და 3 თანამგრძნობი. თვითეულ მომხსენებელზე მიმაგრებულია ამხანაგები; ასე მაგალითად ნიკოლაიშვილზე ამხ. კაციტაძეა მიმაგრებული, ბაღდასაროვაზე—ტოკარევი, იუზბაშევაზე—ბახჩისარაევი-ცევა, მელქიანზე — ხაჩატუროვი და ა.შ.

მომხსენებლებს უკვე მიეცათ ყველა საჭირო ლიტერატურა.

ამჟამად პარტკომი პარტიის წევრკანდიდატებთან ატარებს სერიოზულ მუშაობას, იმ მიზნით, რომ კონფერენციაზე ყველა მომზადებული მოვიდნენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონფერენციის ნაყოფიერად ჩატარება.

გრ. ნანეიშვილი.

ყინულმჭრელი „ი. სტალინი“

ექ. გ. თვალაძე „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ყინულმჭრელი „ი. სტალინის“ მეზღვაურთა ცხოვრებაში სანატრელი დღე დადგა, გუშინ მან მიიღო ბრძანება:

— ხვალ დილით გავდივართ საცდელ სვლაზე და მოემზადეთო.

ყველა აღტაცებულია, ყველას მღელვარება ეტყობა. და განა შეიძლება დამშვიდებული იყო მაშინ, როდესაც ისეთ საუნჯეს და სილამაზეს, როგორიც ჩვენი ყინულმჭრელია, წინ უძევს ასეთი მნიშვნელოვანი და ძნელი გამოცდა; მით უფრო მაშინ, როდესაც გრძნობ, რომ გამომცდელნი, საბჭოთა კავშირის რეგისტრის წარმომადგენელნი, ულმობელი იქნებიან და საშინელი სიმკაცრით მოითხოვენ ამ გიგანტის ყოველგვარი დეტალის სიზუსტეს?!

ისინი მართალნიც არიან! მათ სურთ, რომ ხალხთა დიდი ბელადის სახელწოდების ყინულმჭრელი, რომელმაც არქტიკულ მომავალ რეისებში ფლაგმანობა უნდა გასწიოს, არ შერცხვეს და ბრწყინვალედ ჩაბაროს თავისი უკანასკნელი გამოცდა.

უმჯობესია აქვე, შინ, გვიჩვენოს მან თავისი ნაკლი, აქვე გვითხრას თუ რა აწუხებს, ან სტკივა, ვიდრე იქ, სადაც ამის თქმა უკვე გვიან იქნება.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კედელთან სდგას ჩვენი სიამაყე. მის ირგვლივ ბოლოზე დიდი ოქროს ასოებით გამოკვეთილია იმ ადამიანის სახელი, რომელსაც გულში ატარებს მსოფლიო პროლეტარიატი, ყოველი პატიოსანი მშრომელი, ყველა ის, ვისაც კაცობრიობისათვის, მისი კულტურისათვის კეთილი სურს.

მზის სხივები ეალერსება ამ ოქროს ასოებს და ისედაც ბრწყინვალე სახელს უფრო ასხივოსნებს, ანატყორცნა სხივები თვალის ბადერას ხვდება და მზედველობის ცენტრში აღიბეჭდება—„იოსებ სტალინი“.

ასწიეთ ღუზა!—ისმის კაპიტნის ბრძანება. ამუშავდა ძლიერი ხრახნი და გემის გვერდებზე აწკრიალდნენ საბჭოთა მადნიდან გამოდნობილი ჯაჭვები. აგერ ღუზაც გამოჩნდა და ყინულმჭრელი შეთამაშდა ნევის ზედაპირზე.

ნევა ერთერთი უდიდესი მდინარეა საბჭოთა კავშირში, მაგრამ ყინულმჭრელს არ გაუმართლა თავისი სახელი. გემი გაცილებით მეტი გამოდგა მის კალაპოტზე, ვერ შესძლო მობრუნება. საჭირო შეიქნა ბუქსირები, რომლებმაც ბუმბერაზი ზღვაში ბოლოთი გაიყვანეს.

ზღვაში გემმა თავისუფლად მოიქცია ბოლო და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ამაყად არღვევდა ზღვის ტალღებს. აქ კი უსაზღვრო ზღვის ფართობმა დაარწმუნა მისი სიდიადე. ყველა სიხარულის გრძნობით იყო აღვსილი. მეთოლიები ხან თავზე დაგვტრიალებდნენ, ხან თავიანთი ფრთებით ეთამაშებოდნენ ზღვის ტალღებს. ისინიც ჩაებნენ ჩვენს საერთო ფერხულში და კარკ ხანს არ მოგვშორებიან.

ყინულმჭრელის ბორტზე 400-მდე კაცია. არქტიკის საუკეთესო მცოდნე „ყინულოვანი კაპიტანი“ ვ. ი. ვორონინი, რომლის ფართოდ გადაშლილ გულმკერდს საბჭოთა კავშირის 4 ორდენი ამშვენებს, ჩამბარებელ კაპიტან შაბალინის გვერდით სდგას. ამ უკანასკნელმა ზღვაში უნდა გადასცეს ყინულმჭრელი მის მუდმივ პატრონს — ვორონინს. მის გვერდით ვდგევართ მისი უახლოესი თანამშემწენი. კალმით არ ძალმიძს იმ უსაზღვრო სიხარულის აღწერა, რომელსაც ამჟამად განვიცდი.

გასვლის წინ ვორონინმა გემის შემდგენლობას შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— აი ჩემს წინ სდგანან გემის მშენებლები, ცეცხლფარეშში, მემანქანენი და შტურმანები. ნაწილმა შეჰქმნა ყინულმჭრელი, დანარჩენებმა უნდა ვასწავლოთ ერთმანეთს ის, რაც ვიცით. ჩვენ ყველანი ერთ ოჯახს ვქმნით და ამ ოჯახის ბედნიერება ჩვენ ხელთ არის

ՀԱՄԱՐՏԱՎԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ, ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՀԱՆՐԱՅԻՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՀԱՆՐԱՅԻՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ՕՐԳԱՆ
ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՀԱՆՐԱՅԻՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ՀԱՄԱՐՏԱՎԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՏՆՏԵՍՈՒԹՅԱՆ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՀԱՄԱՐ

Հանրապետության տնտեսական կյանքի ամենակարևոր հարցերից մեկը ժողովրդական տնտեսության բոլոր ճյուղերում աշխատանքի արտադրողականության անընդհատ բարձրացումն է։ Միայն այդ ճանապարհով է հնարավոր ապահովել սոցիալիստական տնտեսության հետագա զարգացումը, ամրապնդել մեր հայրենիքի տնտեսական հզորությունը։

Աշխատանքի արտադրողականության բարձրացումը նշանակում է ավելի քիչ ծախսելով ավելի շատ արտադրանք ստանալ։ Աշխատանքի արտադրողականության բարձրացումը նշանակում է ավելի կարճ ժամանակում ավելի շատ արտադրանք ստանալ։ Աշխատանքի արտադրողականության բարձրացումը նշանակում է ավելի քիչ ծախսելով ավելի շատ արտադրանք ստանալ։